

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N56, 28.12.2005, მუხ. 390) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე ყოფნისას (გარდა ხანდაზმულთა თავშესაფარში მყოფი პენსიონერისა);“.

2. 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ და „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული:

დ.ა) მეორე მსოფლიო ომის I და II ჯგუფების ინვალიდებისათვის – 129 ლარი, მეორე მსოფლიო ომის III ჯგუფის ინვალიდებისა და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისათვის – 80 ლარი;

დ.ბ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირთათვის – 55 ლარი;

დ.გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ასევე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული საბრძოლო მოქმედებების:

დ.გ.ა) I და II ჯგუფების ინვალიდებისათვის – 84 ლარი, III ჯგუფის ინვალიდებისათვის – 70 ლარი;

დ.გ.ბ) მონაწილეთათვის – 60 ლარი;

დ.გ.გ) მონაწილეებთან გათანაბრებულ პირთათვის – 55 ლარი;“.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 24¹ მუხლი:

„მუხლი 24¹. ზედმეტად დარიცხული პენსიის ლეგალიზაცია

1. 2008 წლის 1 აპრილამდე ზედმეტად დარიცხული პენსია, იმ შემთხვევაში, თუ ზედმეტი თანხის დარიცხვა გამოწვეულია პენსიონერის მიერ არასწორი მონაცემების წარდგენით, ექვემდებარება ლეგალიზაციას და მასზე არ ვრცელდება ამ კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება.

2. 2008 წლის 1 აპრილამდე ამ კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე პენსიიდან დაკავებული თანხები არ ექვემდებარება დაბრუნებას.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2008 წლის 14 მარტი.